ეშასი №14



12 697

Библиотека имени Акад. И. Гриш

გოდოგნის საბჭო არსად სჩარ
სოფელს შექმნია გოდება.
დამწუხრებული გლეხობა
დაკარგულთ მოელოდება.

ეძებენ ტყეში, მინდორში,
გზა დაეკარგათ იქნება...
მაგრამ არა სჩანს არავინ,
ვაჭირდა კვალის მიგნება.

რა დაემართა, სად გაჰქრა,
ხალხს აერია გუმანი.
ვოდოგნის საბჭოს ვინც ნახავს,
ჯილდოთ 1000 თუმანი!

ᲔᲡᲔᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ!



განა უქნარა კაცია,
ფეხზე ტრაქტორი აცვია.

კულაკს ამოჰკრა პანღური—
არც აცხელა, არც აცია!

ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘ

ᲐᲛᲮ. ᲨᲘᲜᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲛᲝᲬᲮᲔᲚᲔᲑᲐ

ყველასათვის ცნობილია, რომ კარტოფილი დიდებული, ფრიად სასარგებლო მცენარეა. რაში გინდა ის არ გამოდგეს! გინდა მოხარშე, გინდა შეწვი, გინდა წვენი გააკეთე. გინდა შენ ქამე, გინდა შენს საქონელს აჭამე.

ერთი სიტყვით, კარტოფილს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუცლის საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში.

მართლა და რა კარგია მოხარშული კარტოფილი კარგ მსუქან დოშთან და შემწვარი, დაბროწილი კარტოფილი ჩასუქებულ ვარიებთან, თუ ზედ გაბაჯღულის ადრეული მწვანე კიტრიც ღააყოლე და ცივი ნაფაქვენებით ღვინით შეხურებული შუბლი გაიგრილე...

კარტოფილზე კიდევ მრავალ გემრიელ სიტყვასა და მადის აღმძვრელ კერძს მოგაგონებდით, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ. ჩვენი დასკვნა კი ასეთი იყოს, რომ მაშასადამე, კარტოფილი ყველგან და ყველაფერში გამოსადეგარია.. მხოლოდ ერთ შემთხვევაში არ ვარგა ის — სახელდობრ, მაშინ, როდესაც თავის მაგიერ ერთი უზარმაზარი კარტოფილი გაბია მხრებზე.

რაო? იქნებ თქვენ არ იცით, რომ კარტოფილი ხშირად აბიათ თავის მაგიერ. თუნდა ერთ მაგალითს მე დაგისახელებთ:

მაგალითად... მაგალითად, ავიღოთ ქუთაისის ოლქი. ალბათ მოგეხსენებათ, რომ ამ ოლქში კარტოფილსა და ლობიოს შორის გაიმართა სასტიკი, სამკვიდრო - სასიცოცხლო ბრძოლა, რომლის დროს ლობიომ მალე გაიმარჯვა კარტოფილზე. ამის შემდეგ ქუთაისის ოლქში სოფლად იშვიათად ნახავთ კარტოფილს.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად კოლექტივებმა გადასწყვიტეს კარტოფილის გულის მოგება და ისევ მომრავლება. მისწერეს კოლმეურნეობათა საოლქო კავშირს, სთხოვეს კარტოფილის თესლი... მაგრამ ვერც ერთი კაკალი კარტოფილი ვერ მიიღეს.

ამ დროს კი სადგურ სვირში რკინის გზით მოსული 4 ვაგონი კარტოფილი უპატრონობით ერთიანად დალპა. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ კარტოფილის განადგურებაში ბრალი მიუძღვით ლობიოს მომხრეებს, რომლებმაც განგებ მოაწყვეს ეს საქმე. ზოგიერთების აზრით ეს იმის ბრალია, რომ ამ კარტოფილის პატრონ ორგანიზაციის მეთაურებს თავების მაგიერ კარტოფილი ებათ მხრებზე.

საერთოდ კი აქ აშკარაა, კარტოფილის საწინააღმდეგო შეთქმულებას გადაჰყვა 4 ვაგონი სათესლე კარტოფილი. მაშასადამე, კარტოფილი მხოლოდ ერთ შემთხვევაში არ ყოფილა სასარგებლო და კარგი. ეს მაშინ, როდესაც თავის მაგიერ კარტოფილი აბია კაცს.

აპრაკუნე ᲨᲘᲜᲭᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲥᲠᲝᲚᲔᲚᲘ „ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ“

ავადმყოფები მოგროვდენ
დევდარიანის ეზოში.
ზოგიერთს ჰქონდა წელკავი,
ზოგიერთს ქარი თეძოში.
სადოსტაქრო ოთახში
დადის კოწია — მამალი.
შეაზავ-გადმოაზავა
ათასნაირი წამალი.
სიპ ქვაზე დანა გალესა
მოისმის ხეხვა-ხახუნი,
ზოგსა ავადმყოფს შიშისგან
აუტყდა კბილის კრაჭუნი.
აგერ ბავშიცა მოგვარეს,
უთხრეს: — სტკივაო თვალები!
თავზე წურბელა მიადვა,
აყვირა განაწვალებ.
აგერ მოფოფხავს ვიღაცა
ანთებას სჩივის წელისას,—
აგური წყალში გალესა
წამალსა ასმევს ხველისას.
მუდამ მზადა აქვს კოწიას
„სელისა ზეთი, ჯულაბი“,
ყველასა ასმევს თამამად
ეს ექიმბაში გულადი.
ამბობს: — ეს ჩემი წამალი
„მკვდარსაც აცოცხლებს ხშირადა,
„მაგრამ მაინცა არ ვყიდი
„მე იმას ძაან ძვირადა.
„ეგება მკვდარი გაცოცხლდეს,
„მას ნუ დამარხავთ ჩქარადა:
„ერთ კვირას შეინახევით
„უტირლადა და წყნარადა“!

ᲖᲐᲠᲙᲝ.

სურათი დ. ᲨᲘᲜᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ.



— დარჩელის სამკითხველოში რადიო ამუშავდა... მე თითონ გავიგონე მისი ხრიალი...

— შეგშლია, ძმაო... რადიო კი არა, წრეები ხვრინავენ!

ᲐᲠ ᲔᲜᲐᲦᲕᲚᲔᲑᲐ

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲠᲔᲖᲘᲙᲝᲡᲘ.



— აი გეცოდება ცხენი, ამხელა კეტით რომ ურტყამ?
— რა მენაღვლება... ჩემი ხომ არარის?! კოლექტივისაა!

„ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘ“

ახალსოფლის თემს ერთ დღეს რამოდენიმე უცნობი კაცი მიადგა.

— ვინ ბრძანდებით? — [illegible]ვაზიანათ კითხეს ახალსოფ[illegible]ლებმა.

— დამკვრელები ვართ! — გაისმა პასუხი — აი ეს კაცი ჩვენი მეთაურია... იცნობდეთ, კოტე ბურკაძე გახლავთ!

— რას უნდათ დაჭკრათ? — იკითხეს ცნობის მოყვარე ახალ სოფლელებმა.

— რასა და, კულაკებს, უვიცობას, უცოდინარობას, მეურნეობის ძველ წესებს! — თამამათ წამოიძახა ბურკაძემ.

— თუ ასეა, გაუმარჯოს თქვენს მოსვლას! — ერთხმად შესძახეს გახარებულმა გლეხებმა.

ბურკაძემ იმავე დღიდან დაჭკრა, მაგრამ ცოტა სხვანაირად, თავისებურად. მეურნეობის ძველ წესებს იმით დაუწყო ბრძოლა, რომ ძველად მოყვანილ ღვინოს და ძველად გაზრდილ ქათმებს დაერია... დაერია და მუსრი გაავლო. ახალსოფელი რომ მოითავა, საყვარიას მიადგა.

— ასეთი დამკვრელობა ჩვენმა ლოთმა ნიკომაც კი იცის! — საყვედურობდენ გლეხები — ეგ თუ საქმის გაკეთებაა, ჩვენს კულაკებს მაგაში ბურკაძე როგორ აჯობებს.

მშრომელი ახალსოფლელები ბრაზზე მოდიოდენ, კულაკები სამაგიეროთ აღტაცებული იყვენ.

— ვენაცვალე ასეთ ბრიგადელებს!—გაიძახოდენ ისინი — ქეიფი მაგათ სცოდნიათ და დაკვრაც... მუშტი — კრივში ვინ შეედრება მათ?!

ეხლა კოტე სადა ხარ,
ან რომელსა მხარესა?
გამსახლში ხომ არ ზიხარ
და აშტერებ თვალებსა?

ნემსი.

ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲬᲝᲨᲘ

გვენგრევა ქოხ-სამკითხველო,
ჭერი დაულპა საბრალოს—
ობლდება ჩვენი სოფელი,
მაგრამ ამაზე ვინ ნაღელობს?

რადიოც აღარ საუბრობს
უკვე რამდენი ხანია.
გარდაიცვალა შარშანა,
დახუჭა ორივ თვალია!

ხევსურიშვილი.

ᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ

მე, დომენტი თურქაძე, ზედა-საზანოს კოოპერატივის ნოქარი, ვმუშაობ და ვმოღვაწეობ ჩემს ნებაზე:

1. ჩითსა და ნარმას პირველ რიგში ვაძლევ ჩემი ოჯახის წევრებს და ნათესავებს.

2. გადამალული მაქვს პაპიროსი და ვყიდი უკანა კარებიდან მხოლოდ კეროძო ვაჭრებზე.

3. ვინაიდან ჯამაგირი არ ძყოფნის, ცოლის რჩევით შემდეგი ზომები მივიღე ჩემი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად: გირვანქა ბაწარს დავადევი ზედმეტი ფასი 30 კაპეიკი, წულებს — 1 მანეთი, ლურსმანს — 40 კაპ., თითოს საინს—ორი შაური.

4. ვიღებ და ვკეტავ კოოპერატივს როცა მომეპრიანება.

ველი პასუხს: მეკუთვნის თუ არა ასეთ მუშაკს დაწინაურება?

ანჩხლი.

ᲕᲢᲘᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲕᲒᲚᲝᲕᲝᲗ

გლეხკორები და კედლკორები ხარაგოულის თემიდან გულითად მწუხარებით აუწყებენ ყველას, რომ სამი თვის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი კედლის გაზეთი— „ᲡᲘᲦᲬᲚᲘᲡ ᲒᲣᲨᲐᲒᲘ“ პანაშვიდი ყოველდღე ქოხ-სამკითხველოს დაობლებულ ოთახში.

დავალებით ᲮᲐᲜᲔᲚᲘ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲠᲘᲒᲖᲔᲐ

ნაგომრის მთლიან კოლექტივში შრომის ორგანიზაცია მთლიანად მოვაწესრიგეთ, ხელს გვიშლის მხოლოდ ის, რომ ზეირიანად ვერ ვართ გარკვეული, ვინ რამდენი, ან რა უნდა ვიმუშაოთ, როდის დავიწყოთ, როდის გავათავოთ, ან არის თუ არა საკალდებულო მუშაობა.

რაც შეეხება დანარჩენ საკითხებს, ყველაფერი რიგზეა. განსაკუთრებით გვიწყობს ხელს ის გარემოება, რომ სოფლის ერთი ნაწილის მოსახლეობა 7-8 კილომეტრზე დადის სამუშაოთ, სიარულში კუნთები უმაგრდებათ და თხრილებზე ხტომასაც კარგად სწავლობენ. ასე რომ ფიზკულტურა თავის და უნებურად იკიდებს ფეხს.

სხვამხრივ ყველაფერი მოწესრიგებულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ უმნიშვნელო საკითხებს, როგორიც არის სათესლე მასალის თავის დროზე შეუკრებლობა.

ყოყო.

ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘ ᲑᲐᲒᲐᲨᲘ



ამხანაგო თავმჯდომარე,
რას ჩამჯდარხარ ბაგაში?
ძალზე მშია, ქერი უნდა
ჩამიყაროთ მაგაში.
ადე, სუმთლად ნუ ჩაფლულხარ
ქაღალდების ნაგავში!

ᲚᲘᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲔ

ჩვენი სიამაყე გახლავთ ჩვენი კლუბი, სადაც თავმოყრილია ჩვენი კულტმუშაობის უმთავრესი ფორმები: კლუბთან მოეწყო კარტის თამაშის გრძელვადიანი, დაუსრულებელი კურსები, სადაც "21"-ს, ბაქარას, ფრაპს და სხვა თამაშს სწავლობს აქტიური ახალგაზრდობა. (საკმაოდ არიან ხანში შესულებიც).იქვე არის მოწყობილი კარტის ჩაწყობის უმაღლესი კურსები.

კლუბთანვე მოეწყო მონარდეთა ტეხნიკუმი, რომელიც თანდათან აფართოებს მუშაობას. არსდება ნარდის მოყვარულთა საზოგადოება, „ზარის“ კამათლის გამგორებელთა ცალკე უჯრედით.

კლუბთანვე მოეწყო ხულიგნების წრე, სადაც იღებენ ავარებს, ლოთებს, უსაქმოებს, ლაზღანდარებს და სხვ.

კლუბის აივანსა და ეზოში დაარსებულია მოლაყბეთა უჯრედი, სადაც ლაყბობა ჯგუფური სისტემის მიხედვით სწარმოებს.

გაზაფხულის დადგომის გამო კლუბი კიდევ უფრო აფართოებს თავის წრეების მუშაობას, თუ აქაურმა, ან მანდაურმა სათანადო ორგანიზაციებმა არ შეუშალეს ხელი.

ხვლიკი.

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲔᲜᲝᲗ ᲣᲢᲘᲚᲐᲓ

გალავანი (სოფელია მცხეთის რაიონში) არავითარი გალავანით არ არის შეზღუდული და ალბათ ამიტომაა, რომ შიგ ყველა შედის თავისუფლად. ავილოთ თუნდაც აქაური ქოხ-სამკითხველოს გამგე, რომელსაც საღამოს ძილით კი სასაცილოდ არ ყოფნის. მან შემოილო განუწყვეტელი უწარმოო ძილი. შედეგებიც თვალსაჩინოა:

ქოხ-სამკითხველოში ისეთი „სისუფთავეა“, რომ ერთ-ორ გლეხს ეგონა, აქ უტილ-ნედლეულს აგროვებენო და თავის მხრივაც მოინდომეს უტილის შეტანა შიგ სამკითხველოში.

ეზეთის ხმამაღლა კითხვის ნაცვლად ქოხ-სამკითხველოს გამგისაგან ხმამაღალი ხვრინვა ისმის, რომელიც ხან სტვენაზე გადადის.

ქოხ-სამკითხველოს თვალის ჩინი და სიამაყე — რადიოც ხვრინის სენით არის შეპყრობილი. ალბად არ სურს საერთო მდგომარეობის დარღვევა.

კარგი იქნება გალავანის ქოხ-სამკითხველოდან, ნედლი-უტილთან ერთად, გაიხვეტოს სამკითხველოს გამგეც, რომელიც მართალია გამგეთ არ ვარგა, მაგრამ უტილად მაინც გამოდგება.

ქენცი.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ ᲮᲝᲕᲚᲔᲤᲘ

— წკრრრრრ... წკررررر!.. ხოვლე! ხოვლეა? ოქვენ „შოლტის“ რედაქციას ურეკდით ტელეფონით? მერე? ვინა? ეპოს გამგეობის წევრი და მოლარე? სახელი და გვარი? კარგად არ მესმის! ლიზა თუ ელიზბარი? მამრობითი სქესის თუ დედრობითის? მაშ ლიზა იქნება! ლიზა კოშაძე? კარგი, კარგი, ლიზა კოშაძე.— მერე?

კოოპერატივის ქონებას ფარულად მიეზიდებოდა სახლში? ფულით? როგორ თუ არ იზიდა? მერე ნოქარი სად იყო? ნოქარი მოახსნევინა სამსახურიდან? რას აკეთებდა ადგილობრივი საბჭო? რაო? საბჭოს თავმჯდომარედ მისი და ანა კოშაძე იყო და მას მფარველობას უწევდა? მერე გამწმენდი კომისია მაინც სად იყო? გაუსხლტა? როგორ? სოფელ კასპის კოოპერატივში მოახერხა მოწყობა? მერე კასპშიც ხომ ჩატარდა წმენდა? როგორ? ახლა იქ რომ დაიწყო წმენდა ისევ ხოვლეს კოოპერატივს დაუბრუნდა?

— ხრრრ... ხრრრ... არ გესმის! ხოვლე, ხოვლე, სად ჯანაბას დაიკარგე!.. აღარაფერი ისმის.

სადგური, სადგური! სადგურია? გორის საბჭოთა აპარატის მწმენდავ კომისიას შემიერთე!

წკررررر... წكررر. კომისია, კომისია! გესმის?

ეს ოხერი ისევ შესწყდა, აღარაფერი ისმის!

ᲔᲘᲜᲯᲐᲠᲘ.

— მეზობელო დამიცადე, საქ
მაქვს შენთან!

— თუ ძმა ხარ ნუ გამაჩერებ! ვან
სასადილოში მინდა მივიდე მზის ამ
სვლამდე და სადილი შეუკვეთო, თ
რემ სადილი ვახშმათ გადამექცევა.

ბილპილი.

ᲜᲐᲢᲕᲠᲐ

ნეტავ ვიყო ტაბეშაძე ვანო,
სახელმწიფო ხე-ტყე გავალაგო,
ბლომად ფული ჯიბეს ჩავიყარო
და ძმა-ბიჭებს თავი მოუყარო!
მინდა ვიყო ტაბეშაძე ვანო,
ლურჯა ცხენი ყველგან ვაგოგმანო,
თუ არ მომწონს—ხვალვე გადავცვალო...
ვინ გამიგებს მე რომ ფული ვჭამო!
ნეტავ ვიყო ტაბეშაძე ვანო
ხე-ტყის ჭრაში გლეხი მოვიხმარო
კაკასხიდში სწრაფად ჩავიტანო,
ფული ოხრად ჯიბეს ჩავიყარო!..

წვენია.

ᲛᲔᲡᲢᲕᲘᲠᲣᲚᲘ

(ნიგოითისათვის)

არა იფიქრო ვცრუობდე —
უქმად არ ვიტყვი ძვირსაო...
მართალს არ გავკრა წკეპელა,
განა ულირსი ძვირსაო?
ვახსენოთ მილიციელი —
არველაძეა გვარათო.
იმისი შოთ სოფელში
თამამად ვეღარ დავალო.
ღვინოს სმა, კრივის ხელობა
მისი პირველი ხერხია,
ღამეც ხალხს აბრთხობს წყეული —
კაცი კი არა — მეხია!
კედლის გაზეთში გასწერეს, —
ეწყინა, როგორ შეკადრეს?!
დამწერთ დაუწყო მან ძებნა
და იკვლევს იმათ სწორ „ადრესს“.
ჩვენს სამკითხველოს ვესტუმრე
ქამ-ᲮᲩ-გუდა-სტვირითა, —
მუხლამდის მტვერში ვიფლებით.
არ გვიან ხუთ-ხუთ კვირითა.
ვისაც რა უნდა მიაჩნდეს
მომკვლელად დარდებისაო,
მე კი ვენაცვა ქამანჩას
და ამ მოჭედილ სტვირსაო.

აღარ დავცხრები იცრდეთ,
სანამ თავს მხრებზე ვატარებ,
სანამდი გმირებს სოფლისას
წიმართლით არ გავამწარებ!

კოლო.

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲝᲭᲣᲚᲑᲐ

— რაც ლანჩხუთის ქუჩებზე ღორები დადიან, თუ იმდენი ხუთი მანეთი აიღო აღმასკომმა, გაკეთებულა მისი საქმე!

„ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲡ“

სოფ. სიმონეთის კოოპერატივს ერთ დღეს ურემი მიადგა ბარგით დატვირთული.

— ვაშა! ვაშა! — გაისმა სიხარულის კიჟინა —აგვისრულდა ნატვრა! მივიღეთ! მივიღეთ დიდი საკერავი მანქანა! ეხლა კი გაიჩარხა ჩვენი საქმე! დაჯექით ქალებო და კერეთ!

გადმოტვირთეს მანქანა, ააწყვეს და შეიტანეს ფარდულში.

— შეხედეთ როგორ ციბრუტივით ტრიალებს მისი ბორბალი! წისქვილის ქვა ვერ დაეწევა სიჩქარეში!

— რატომ აღარ ამუშავებთ, მანქანას? ხომ არ გაფუჭებულა? — ეკითხებოდენ ორი თვის შემდეგ სიმონეთლები კოოპერატივის გამგეს.

— რას ქვია, გაფუჭდა! ცხვირს ამოვამტვრევ მანქანას, გაფუჭება რომ გაბედოს! არ ვამუშავებთ იმიტომ, რომ ჯერ არ გვცალია: რევიზია გვაქვს, გაფლანგულის გამორკვევას ვუნდებით... მოვათავებთ ამ საქმეს და შემდეგ ავამოძრავებთ!

მანქანას რომ არ მოსწყენოდა, არჩიეს სამჭედლოში შეეტანათ. შეიტანეს და... მიავიწყდათ.

— ხელს გვიშლის ეს ოხერი! — წუწუნებდენ მჭედლები — დიდი ადგილი უჭირავს.. გავაგდოთ გარეთ!

გარედ გატანას, არჩიეს რამეში გამოეყენებიათ.. იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს ამ აზრს დაადგენ:

— სამჭედლოში სკამი არ გვაქვს... მოდი ეს მანქანა სკამათ ვაქციოთ... ჩამოვჯდება მაინც დაღალული კაცი!

ახე იქცა საკერავი მანქანა სკამათ და უკვე ერთი წელიწადია ამ მოვალეობას ასრულებს.

ვინც დაღალული ხართ ფეხზე დგომით, შეგიძლიათ ჩახვიდეთ სოფელ სიმონეთში და ამ მანქანა - სკამზე მოასვენოთ თქვენი ძვალ - რბილი.

ხალი.

არ დაუმაღლეს

— ეს არის სოფელი ნოსირი? — იკითხა ვიღაც ჩაგალსტუკებულმა მოქალაქემ.

— ეს ვახლავთ! — მიუგეს ნოსირელებმა.

— მე რაკდენ სანაია გახლავართ... გთხოვთ მიცნობდეთ. საშეფო კომისიამ გამომგზავნა... თქვენი კოლექტივის გაძლიერებას ხელი უნდა შეუწყო!

— ენა ჯგირ საქმე!—ერთხმად მიაძახეს გლეხებმა.

—:—

— არ დაუჯეროთ არაფერი აგრონომს! — თავისი მოღვაწეობის პირველი ნაბიჯი ამ მოწოდებით გადადგა ჯგირი კოჩი სანაიამ — სათესლეს შეწამვლა არ შეიძლება... იმის ნაყოფი მოწამლული იქნება და დაგზოცავთ ყველას.

— შრომა როგორ გავანაწილოთ კოლექტივში? იკითხეს გლეხებმა.

— რას ქვია ან შრომა, ან მისი განაწილება? ეყო ღარიბ გლეხს, რაც აქამდე იშრომა... ეხლა ტრაქტორმა უნდა გააკეთოს ყველაფერი.. თქვენ კი დაჯექით და მოისვენეთ!

— არ შეუწყოთ ხელი ფრინველების მოშენებას?

— არაფერი საჭიროა! მთავრობას მოვთხოვოთ გამოგვიგზავნოს ქათამის მაგიერ მანქანა, რომელიც კვერცხსაც სდებს და კაკანებს კიდეც.. არის ასეთი მანქანა!

—:—

— არ გვინდა ასეთი მრჩეველი და ხელმძღვანელი! — აყაყანდენ ერთ დღეს ნოსირის გლეხები. —მაგან არია ჩვენი საქმე! მოგვაშორეთ მალე!

გააძუნძულეს პატივცემული რაკდენ სანაია ნოსირიდან. ასე უსამართლოთ მოექცენ ამ ბრძენ მოღვაწეს.

—:—

ზის ეხლა სანაია მის გამგზავნ საშეფო კომისიის თავმჯდომარესთან და შესტირის ნოსირის გლეხების უმადურობას.

მართლაც და რა უმადურები ყოფილხართ ნოსირელებო! თავშესაქცევად და სალაზღანდაროთ მაინც დაგეტოვებიათ საწყალი რაკდენა! კარგს იზამდით, რომ მასთან ერთად მის გამომგზავნ საშეფო კომისიის თავმჯდომარეც მაგეყვანათ. დაუმშვენებდენ ერთმანეთს მხარს!

ჯგირი.

სამეგა ერთ-არსებგა

„წმინდა“ სამეგა გახლავთ,
მოორეული აქვთ ცოფი,
ზოგჯერ გვებრძვიან ჯვარით
და ზოგჯერ კიდევ თოფით.

სამივე გლეხის ზურგზე
ქცეული იყო ჭამათ.
სამივეს გლეხის ოფლი
უნდა შეერგოს შხამათ.

„ხელმძღვანელობა“

კოლექტივის ხელმძღვანელი სარაიონო კომისიაში

— დიდი სიკეთე გვიყო თქვენმა ცირკულიარებმა.

—რა სიკეთე გიყოთ, რაშია საქმე?

— თქვენი ცირკულიარების წყალობით გაზაფხულის თესვის გეგმა საცსებით შევასრულეთ. თუ არა თქვენი ცირკულიარები, აუარებელი მოხნული მიწა დაუთესავი დაგვრჩებოდა.

— ხო, ეხლა კი მესმის, ჩვენგან გამოგზავნილ ცირკულიარებს კითხულობდით და მის თანახმად მუშაობდით. მაშასადამე, ჩვენი ხელმძღვანელობა სწორი ყოფილა. ზოგიერთი ხეპრე კი გვისაყვედურებს: ცირკულიარების წერის მეტი არაფერი გაგიკეთებიათო.

— არა, თქვენ კიდევ ვერ მიმიხვდით...

— მაშ, რაშია საქმე, რით დაგეხმარათ ჩვენი ცირკულიარები?

— იმით დაგეხმარა, შენი ჭირიმე, რომ ამ სამი თვის განმავლობაში თექვსმეტი ფუთი ქაღალდი დაგვიგროვდა, ეს ქაქაღლი ოც თუმნად გავყიდეთ, ამ ფულით თესლი ვიყიდეთ და დავთესეთ...

პი-პო.

შესცდა

სურათი მ. ბარამიძის.

— რა აყვირებს ამ კაცს?

— მაგას ჰგონია, რომ ნიგოითის საკავლებელს ცეცხლი უკიდია... ის კი არ იცის, რომ დიდი კვამლი იმიტომ კამოდის სკოლიდან, რომ მოწაფეები თუთუნს აბოლებენ.

საიდუმლო გარათი

საკუთარ ხელში ანდრო ჩიხლაძეს

სახელითა მამისათა, დაძისათა, დასულითა წმინდისათა, სალამი და გამარჯვება სულიერო ძმაო ანდრო, ამინ!.. ხეტარებით ვიგონებ მე და შენ რომ მედავითნეთ ვემსახურებოდით „ყოვლის შემძლე ღმერთს“, „წმინდა ათანასეს“ სახელობის ეკლესიაში, რა მეთუ იმ დროს ოხრად მოგვდიოდა „სულის საცხონებელი“ ტაბლა-ნაზუქები, ინდაურ-გოკები და სხვა ძმანი და დანი მათნი.

მიხარია სულიერო ძმაო, რომ გორდის სკრედიტო ამხანაგობა ხელში ჩაგიგდია, რომლის საშუალებით ისევ ისე, ძველებურად ფცქვნი გლეხობას, რომელმაც გაგვიოქმა „წმინდა ეკლესია“. მერე რა განსხვავებაა! ჩვენთვის ხომ სულ ერთია საცა უნდა იყოს, ოღონდ უხვად მოდიოდეს ცხოვრება, ვითარცა მანანა ცისა ამინ!

მომიკითხე „ღვთისნიერი“ სიყვარულით ჩვენი საერთო სულიერი ძმა — შენი სახლი კაცი, მღვდელი რომანოზი, გავიგე ისიც „სახელითა ღვთისათა“ შენს სკრედიტო ამხანაგობაში მოგიწყვია. ბარე მნათეც იშოვეთ სადმე და შიგ სკრედიტო ამხანაგობაში სამადლობელი პარაკლისი გადაუხადეთ „თქვენს მაღალ მწყალობელს“... ალილუია!

ბარემ გლეხკომის სასადილოს გამგე ნათავადარი ვაჭარი ჩიქოვანიც თქვენთან გადაიყვანეთ და ყოველდღეს წირვა-ლოცვა გაიმღეთ, სახელითა მამისათა, დაძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ.

ილოცეთ ჩემი ნებსითი და უნებლეთი ცოდვების მიტევებისათვის.

შინი სულიერი ძმა

ჩქიფა ხუფუნია.

თაგვ-ქოხ-სამკითხველო

სოფელ ზემო - მაჩხაანში ქოხ-სამკითხველოს გამგედ გახლავთ ქ-ნი მაკრო. ახალგაზრდა, კოპწია გოგონა.

— მაკრო, მაკრო, მაკრიკო! აქეთ-იქიდან მისძახიან თმაქოჩორა ბიჭები.

რა ქნას მაკრომ! მართალია, ეშხიანია, მაგრამ კიდევ საჭიროა შელამაზება და მთელ დღეს სარკეში იცქირება. იქით თმაა ჩამოწეული, აქეთ ცხვირზე, რაღაც წერტილი ატყვია, წარბებსაც სამარგელი მორევია. საჭიროა თუ არა—თავის წესრიგში მოყვანა!

ცხადია, საჭიროა! ზის მთელ დღეს და ისწორებს გამრუდებულ ადგილებს... სამკითხველოს კი ჰკიდია მისი ბებიის ნამზითვი ერეკლეს დროინდელი კლიტე.

რაც შეეხება ხალხს.—

ვინც რა უნდა თქვას.

წიგნები და გაზეთები მაინც ხომ მიაქვთ ქოხ-სამკითხველოდან. ვისაც უნდა მოვიდეს და ნახოს საწიგნე თაროები!... სამას-ოთხასი წიგნიდან ოციოდაათი აღარ იქნება... ყველა წაღებულია. დიახ, წაღებული, მიუხედავად იმისა, რომ კარებს დღე და ღამ ძველი, ნამზითვი კლიტე ადეგს.

დავინტერესდი. ერთ დღეს საგანგებოდ იმისთვის ჩავიარე, რომ მენახა, დაკეტილ სამკითხველოდან როგორ და ვის მიჰქონდა წიგნები და გაზეთები.

ჩუმად ავიტუზე ფანჯარასთან... რაღაც ხრიალი მომესმა, შევიხედე. ერთს, სააღდგომო ბატკნის ოდენა ვირ

თაგვას იღლიაში ამოეჩარა ოთხი მსხვილი წიგნი და ხვნეშით ძლივს მიგორავდა იატაკზე.

ჩემთვის ყველაფერი ცხადი გახდა. წიგნებით სარგებლობის საქმე ზ. მაჩხაანის ქოხ-სამკითხველოში მართლა ჩინებულად ყოფილა დაყენებული. ხალხი თუ არ კითხულობს, თაგვმა მაინც ხრას!

ხომ ასე, ქალბატონო მაკრიკო?

კუნძი.

არავის ესმის

სურათი ი. კახიანის.



— რას უბარტყუნებ მაგ ზარებს მამაო, ხომ ხედავ არავინ გეკარება?

— თავს მაინც შევიქცევ, თუ სხვა ხეირი არაფერი იქნა!

იმედი კარგი საქონელია

მე, ხარაგოულის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიონი, გრიშა ხარაძე, ამით ვაცხადებ: ნულარ გზავნიან წერილებს და დეპეშებს, რადგან სულერთია მაინც არ ვარიგებ; თუ ვინმეს მაინც აქვს კიდევ წერილის მიღების იმედი, ნუ დაჰკარგავს მახ ბაბუა ჩემის მოსვლამდე საიქიოდან.

პატივისცემით ზ. ხარაძე

წერილი რედაქციას

ამხ. შოლტიანო. ნება მომეცით „შოლტის“ საშუალებით ულრმესი, უუუგულითადესი და უუუპატიცემულესი მადლობა გადაუხადო სოფელ ლეცხვიციაეს გლეხკომის სარევიზიო კომისიას, რომელმაც ძმური დახმარება გამიწია.

მან სრულიად სამართლიანად გვერდი აუქცია იმ გარემოებას, რომ მე გლეხკომის სავაჭროში ჩემი ოჯახის გაჭირვებული მდგომარეობის შესამსუბუქებლად ზედმეტი ფასი დავადე სურსათ - სანოვაგეს და შემოვიღე ღვინით ვაჭრობა იმ მიზნით, რომ გულზე მოწოლილი დარდები განვიქარგო. გარდა ამისა, მე, თუ ნაცნობ-მეგობრებს დახმარებას ვუწევ, ან თუ გლეხკომის წისქვილის შემოსავალი სახლში მიმაქვს, ეს სრულიად ბუნებრივად მიიჩნია მან, რადგან ჩემს მეგობართა შორის თვით სარევიზიო კომისიის წევრებიც არიან და ამ ქონებას მარტო ჩემს პირად საჭიროებას არ ვახმარ.

უუუუღრმესად დავალებული გლეხკომის სავაჭროს ნოქარი.

ფილიმონ წოწორია.

ᲮᲣᲗᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ?



Библиотека-Музей имени Акад. И. Грузинского

ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲐ
ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲚᲘᲙᲝ ᲮᲝᲜᲔᲚᲘ.
ᲛᲝᲛᲨᲘᲠᲜᲔ, ᲧᲜᲕᲘ, ᲡᲕᲘᲐᲜᲘ
ᲓᲐ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲝᲡᲐᲬᲝᲜᲔᲚᲘ.
ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲔᲑᲡ ᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ,
ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐ ᲡᲪᲔᲛᲓᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ,
ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲐ ᲐᲡᲘ ᲙᲐᲚᲐᲛᲘ,
ᲓᲐ ᲝᲪᲘ ᲤᲣᲗᲘ ᲛᲔᲚᲐᲜᲘ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲢᲐᲠᲘᲔᲚ
ᲢᲣᲚᲣᲨᲡ ᲓᲐᲣᲗᲛᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲬᲔᲠᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲚᲜᲘᲡ ᲦᲕᲠ.
ᲐᲠᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ.
ᲘᲡ ᲢᲐᲠᲘᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲘᲥᲪᲐ,
ᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲘᲜᲐᲓᲘᲠᲐ.
ᲐᲥᲔᲗ ᲒᲝᲠᲐᲡᲐ ᲬᲘᲮᲚᲘ ᲭᲠᲐ
ᲘᲥᲘᲗ ᲛᲝᲗᲐᲡ ᲛᲢᲕᲔᲠᲘ ᲐᲓᲘᲜᲐ!

ᲐᲜᲙᲔᲢᲐ

ᲒᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ — ᲡᲔᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ.

ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐ — ᲡᲝᲤᲔᲚ ᲨᲐᲨᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲭᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ.

ᲮᲔᲚᲝᲑᲐ — ᲕᲐᲬᲧᲝᲑ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲔᲑᲡ ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲔᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑ ᲦᲐᲠᲘᲗ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲑᲣᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ — ᲛᲣᲨᲢᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲥᲬᲔᲚᲘᲗ ᲪᲮᲔᲠᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲡᲠ ᲡᲘᲡᲮᲚᲡ ᲕᲐᲓᲔᲜ.

ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ — ᲕᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲕᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲗ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ, ᲒᲐᲜᲮᲔᲗᲘᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲕᲘᲢᲐᲜᲔ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲨᲘ, ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲕᲘᲧᲕᲐᲜᲔ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ, ᲠᲐᲩᲔᲕᲐ - ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲣᲚ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ ᲞᲐᲜᲚᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲛᲘᲗ ᲕᲣᲛᲐᲡᲐᲠᲘᲜᲓᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲣᲬᲔᲕᲓᲘ ᲓᲐ ᲕᲣᲬᲔᲕᲓᲘ ᲔᲚᲚᲐᲪ ᲙᲣᲚᲐᲙᲔᲑᲡ.

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ — ᲨᲝᲠᲘ ᲒᲖᲐ ᲨᲐᲨᲘᲐᲜᲘᲓᲐᲜ!

ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ.

ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲕᲔᲫᲔᲑᲗ

ᲮᲕᲐᲠᲑᲔᲗᲘᲡ ᲗᲔᲛᲘᲡ 10 ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲗᲕᲔᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘᲐ ᲒᲣᲚᲐᲛᲝᲛᲯᲓᲐᲠᲘ ᲓᲐᲔᲫᲔᲑᲡ ᲣᲒᲖᲝ-ᲣᲙᲕᲚᲝᲓ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲙᲝᲬᲘᲐ ᲢᲣᲚᲣᲨᲡ. ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ: ᲓᲐᲠᲓᲘ-ᲛᲐᲜᲓᲘ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ, ᲑᲣᲮᲠᲘᲡ ᲥᲣᲓᲘ ᲮᲣᲠᲐᲕᲡ, ᲥᲣᲓᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲕᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ ᲔᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲔᲔᲚᲚᲐ ᲠᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ. ᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲡ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ ᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲡ.

ᲮᲕᲐᲠᲑᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ.